



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
National Scientific Library

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

სამეცნიერო კონფერენცია:
**„ტფილისური ბოჰემა“ - ძველი ქალაქის ისტორიები,
ლიტერატურა და ხელოვნება - ეძღვნება იოსებ
გრიშაშვილს**

Scientific Conference:
**"Tbilisi Bohemia" - Stories, Literature and Art of the Old City -
Dedicated to Ioseb Grishashvili**

მაისი 15 May
2026
თბილისი
Tbilisi



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
National Scientific Library

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

სამეცნიერო კონფერენცია:
„ტფილისური ბოჰემა“ – ძველი ქალაქის ისტორიები, ლიტერატურა და
ხელოვნება – ეძღვნება იოსებ გრიშაშვილს

Scientific Conference:
"Tbilisi Bohemia" – Stories, Literature and Art of the Old City –
Dedicated to Ioseb Grishashvili

მაისი 15 May
2026
თბილისი
Tbilisi

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ნინო პავლიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

დარეჯან თვალთვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

თეო რეხვიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოზიდვისა და სერვისების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ნინო პოპიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი

Scientific and Organizing Committee:

Nino Pavliashvili – Director of the National Scientific Library of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Darejan Tvaltvadze – Dean of the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

Theo Rekhviashvili – Head of the Department of Customer Attraction and Service Development of the National Scientific Library of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Popiashvili – Doctor of Philology, Leading Specialist of the Scientific Research and Development Service of the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

რეგლამენტი:

მოსვენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:

Presentation – 15 minutes

Discussion – 5 minutes

Working language – Georgian

10. 30-11.00

**კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია
Registration of the Conference Participants**

მერაბ ალექსიძის 1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა,
საკონფერენციო დარბაზი

1 Merab Aleksidze St., Ivane Javakhishvili Tbilisi State University
National Scientific Library, Conference Hall

11.00 – 11.30

კონფერენციის გახსნა/Opening of the Conference

მერაბ ალექსიძის 1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა,
საკონფერენციო დარბაზი

1 Merab Aleksidze St., Ivane Javakhishvili Tbilisi State University
National Scientific Library, Conference Hall

ნინო პავლიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ნინო პოპიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წამყვანი
სპეციალისტი

11.30 – 13. 30
სხდომა I Session

მერაბ ალექსიძის 1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა,
საკონფერენციო დარბაზი

1 Merab Aleksidze St., Ivane Javakhishvili Tbilisi State University
National Scientific Library, Conference Hall

სხდომის თავმჯდომარე – ნინო პოპიაშვილი
Chairperson – Nino Popiashvili

თამარ პაიჭაძე

Tamar Paichadze

იოსებ გრიშაშვილის პოეზიის თანამედროვე რეცეფციისათვის

For the modern reception of Ioseb Grishashvili's poetry

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მაია ჯალიაშვილი

Maia Jaliashvili

**ევროპა თბილისის უბნებში: ბოჰემა და ურბანული ტრანსფორმაცია იოსებ
გრიშაშვილის პოეზიაში**

*Europe in Tbilisi Neighborhoods: Bohemia and Urban Transformation in Ioseb
Grishashvili's Poetry*

შოთა ჰუსთაველის სახელობის ქართული ღიგეხაგუის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

**თბილისის ლიტერატურული ბოჰემა და მისი რეპრეზენტაცია
ლიტერატურასა და ხელოვნებაში**

The Literary Bohemia of Tbilisi and Its Representation in Literature and Art

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ასია დარბინიანი

Asya Darbinyan

თბილისური ბოჰემა:

იოსებ გრიშაშვილისა და ჰოვანეს თუმანიანის კულტურული დიალოგი

Tbilisi Bohemia:

The Cultural Dialogue between Ioseb Grishashvili and Hovhannes Tumanyan

ეხევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიის კათედრა

Yerevan State University, Faculty of History, Department of History of the Countries Bordering Armenia

მარია ჯიქია

Marika Jikia

აზერბაიჯანული წარმომავლობის ლექსიკა იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“

Vocabulary of Azerbaijani origin in the "Urban Dictionary" of Ioseb Grishashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო გოგიაშვილი

Nino Gogiashvili

„ტფილისური ბოჰემის“, როგორც ევროპისა და აზიის კულტურათა შესაყარის, რეცეფცია იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში

The Reception of 'Tbilisi Bohemia' as a Cultural Intersection of Europe and Asia in the Work of Ioseb Grishashvili

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
Sulkhan-Saba Orbeliani University

მონიკა ესებუა

Monika Esebua

ქალაქური სოციოლექტის რეპრეზენტაცია იოსებ გრიშაშვილის ტექსტებში
Representation of Urban Sociolect in the Texts of Ioseb Grishashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University National Scientific Library

შესვენება

13. 30 – 14. 30

Break

14. 30 – 17. 00
სხდომა II Session

მერაბ ალექსიძის 1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა,
საკონფერენციო დარბაზი

1 Merab Aleksidze St., Ivane Javakhishvili Tbilisi State University National Scientific
Library, Conference Hall

სხდომის თავმჯდომარე – ნიკო ჯავახიშვილი
Chairperson – Niko Javakhishvili

ნიკო ჯავახიშვილი

Niko Javakhishvili

ტოპონიმ თბილისის ისტორიიდან

For the history of toponym “Tbilisi”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ღაგვიის მეცნიეხებათა აკადემიის უცხოელი წევრი

Foreign member of Latvian Academy of Sciences

ნინო სიმონიშვილი

Nino Simonishvili

თბილისი დიმიტრი ერისთავის შემოქმედებაში

Tbilisi in the Art of Dimitri Eristavi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ქეთევან ნადირაძე

Ketevan Nadiradze

თბილისი ვალერიან გაბაშვილის შემოქმედებაში

Tbilisi in Valerian Gabashvili’s Works

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თამარ სტურუა

Tamar Sturua

ტფილისური ბოჰემის ვიზუალური და ვერბალური პარადიგმები: ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანის) „ორთაჭალის ტურფები“ (დიფტიქი) და იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ქრონიკები

Visual and verbal paradigms of Tiflis bohemia: Niko Piroshmanashvili`s (Phirosmani) „Beauties of Ortachala” (diptych) and Ioseb Grishashvili`s urban choiches

დimitრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა
Dimitri Shevardnadze National Gallery of Georgia

თათია დავითაძე

Tatia Davitadze

ანტიკური მითოსი და ქალაქური რეალობა: კოლხი მედეას რეინტერპრეტაცია XVIII-XX საუკუნეების ქართულ მწერლობასა და სახვით ხელოვნებაში

Ancient Myth and Urban Reality: The Reinterpretation of Medea of Colchis in 18th-20th Century Georgian Literature and Fine Arts

ბათუმის შოთა ხუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Batumi Shota Rustaveli State University

ნარი ჩხაბერიძე

Nari Chkhaberidze

იოსებ გრიშაშვილის თბილისური ბოჰემის კულტურულ-რელიგიური ესთეტიკა

The Religious-Cultural Aesthetics of Tbilisi Bohemia by Ioseb Grishashvili

საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტი
Georgian National Committee of Byzantinologists

ნანა ბინაძე¹, რუსუდან საზარაძე¹, ქეთევან პავლიაშვილი², გიორგი ჭაბაშვილი¹ ანგელინა ჯორჯაძე³

Nana Bitsadze¹, Rusudan Khazaradze¹, Ketevan Pavliashvili², Giorgi Tchabashvili¹, Angelina Jorjadze³

მიკოლოგიურ ჰერბარიუმში აღმოჩენილი თბილისის პატარა ისტორია
A Small History of Tbilisi Discovered in a Herbarium

1 საქართველოს აგრონომიის უნივერსიტეტი

2 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

3 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი

1 Agricultural University of Georgia

2 Georgian Technical University

3 Ilia State University Institute of Botany

ელინა ქრისტესიაშვილი, ლეილა ქრისტესიაშვილი, მირანდა ბორცვაძე

Elina Kristesiashvili, Leila Kristesiashvili, Miranda Bortsvadze

ქალაქური ბოჰემა და ურბანული იდენტობა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებით სივრცეში

Urban Bohemia and Urban Identity in the Creative Space of Ioseb Grishashvili

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ნანა გაბადაძე

Nana Gabadadze

ამბების მოყოლის ხელოვნება

Narrative art

დამოუკიდებელი მკვლევარი

Independent researcher

ნანა ბინაძე¹, რუსუდან ხაზარაძე¹, ქეთევან პავლიაშვილი²,
გიორგი ჭაბაშვილი¹ ანგელინა ჯორჯაძე³

Nana Bitsadze¹, Rusudan Khazaradze¹, Ketevan Pavliashvili²,
Giorgi Tchabashvili¹, Angelina Jorjadze³

**მიკოლოგიურ ჰერბარიუმში აღმოჩენილი
თბილისის პატარა ისტორია
A Small History of Tbilisi Discovered in a Herbarium**

¹საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

² საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

³ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი

¹Agricultural University of Georgia

² Georgian Technical University

³ Ilia State University Institute of Botany

საკვანძო სიტყვები: *ჰეხბაიუმი, თბილისი, თამბაქო, უხბანული ისტორია, მატეხიადუხი კურღუხა*

Keywords: *herbarium, Tbilisi, tobacco, urban history, material culture*

XIX საუკუნე საქართველოში მეცნიერების ფორმირების, ბუნების სისტემატიკური კვლევისა და ჰერბარიუმების შექმნის ეპოქაა. მცენარეთა ნიმუშების შეგროვება ხშირად ხდებოდა იმდროინდელი ყოველდღიური ნივთების გამოყენებით, რაც ჰერბარიუმს არა მხოლოდ ბოტანიკურ, არამედ კულტურულ არქივადაც აქცევს — ერთგვარ „დროის კაფსულად“, სადაც მცენარეებთან ერთად ეპოქის სუნთქვაც ინახება.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ჰერბარიუმში აღმოჩენილი სიგარეტის კოლოფი. იგი დაკავშირებულია თბილისის ურბანულ სივრცესთან, კერძოდ, ძველი გოლოვინის პროსპექტის (დღევანდელი რუსთაველის გამზირი) მონაკვეთთან, სადაც სასახლის ქუჩაზე განთავსებული იყო სავაჭრო ობიექტები, მათ შორის — ძმები სელიანოვების თამბაქოს ნაწარმის მაღაზია. XX საუკუნის დასაწყისში მათი ფაბრიკა აწარმოებდა სხვადასხვა ბრენდს, როგორცაა „ზეფირი“, „პრიმა“, „დელიკატნაია“, „რეფორმა“ და „ვოსხოდ“.

ჰერბარიუმში აღმოჩენილი კონკრეტული კოლოფი ეკუთვნის სიგარეტ „ვოენნაას“, რომელიც 1914 წლის 20 ივლისს იყიდებოდა თბილისში. 25 ლერი სიგარეტი ღირდა 20 კაპიკი, ხოლო გაყიდვიდან ნახევარი კაპიკი ირიცხებოდა სამხედროების დასახმარებლად, რაც ასახავს პირველი მსოფლიო ომის სოციალურ კონტექსტს. კოლოფზე არსებული სააქციზო მარკა ადასტურებს იმდროინდელ სახელმწიფო კონტროლს თამბაქოს წარმოებასა და რეალიზაციაზე.

ეს მცირე ზომის ნივთი გვიჩვენებს, თუ როგორ იკვეთება მეცნიერება, ყოველდღიური ცხოვრება და ისტორია ერთ სივრცეში. ჰერბარიუმი ამ შემთხვევაში იქცევა მეხსიერების მატარებელ სივრცედ, სადაც ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა ერთმანეთში ორგანულად ერთიანდება.



სუხ.1. საქართველოს აგრიკულური უნივერსიტეტის მიკოლოგიუხ ჰეხბახიუმში დაცული 112 წლის წინანდელი სიგახეცის კოლოფი ძმები სეიდანოვების თამბაქოს ქახხნიდან.

Fig. 1. A 112-year-old cigarette pack from the Seylanov brothers' tobacco factory, preserved in the Mycological Herbarium at the Agricultural University of Georgia.

The nineteenth century in Georgia represents a period of the formation of science, the systematic study of nature, and the establishment of herbarium collections. Plant specimens were often collected using everyday materials available at the time, transforming the herbarium into not only a botanical archive but also a cultural one – a kind of “time capsule,” where alongside plants/fungi, the very breath of an era is preserved.

In this context, the discovery of a cigarette box within a herbarium is particularly intriguing. It is connected to the urban space of Tbilisi, specifically to the section of the former Golovin Avenue (present-day Rustaveli Avenue), where Palace Street once hosted various commercial establishments, including the tobacco shop of the Seilanov brothers. In the early twentieth century, their factory produced several brands, such as “Zephyr,” “Prima,” “Delikatnaya,” “Reforma,” and “Voskhod.”

The specific box discovered in the herbarium belongs to the cigarette brand “Voenniya,” which was sold in Tbilisi on July 20, 1914. A pack of 25 cigarettes cost 20

kopecks, with half a kopeck from each sale donated to support soldiers, reflecting the social context of the First World War. The excise stamp on the package confirms the strict state regulation of tobacco production and trade at the time.

This small object reveals how science, everyday life, and history intersect within a single space. In this case, the herbarium becomes a repository of memory, where natural and cultural heritage are organically intertwined.

ნანა გაბადაძე

Nana Gabadadze

ამბების მოყოლის ხელოვნება
Narrative art

ფილოლოგიის დოქტორი
დამოუკიდებელი მკვლევარი.

Doctor of philology
Independent researcher

საკვანძო სიტყვები: *ენათმეცნიერება, ღეჟსი, ბოჰემა, თბილისი, ხელოვნება*

Keywords: *linguistics, poem, bohemia, Tbilisi, art*

ნებისმიერი ერის კულტურული ხატის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მენტალობას, სადაც ვითვალისწინებთ:

- იდოეთნიკურ აღქმულობას,
- საკუთარი და „სხვისი“ მენტალიტეტის ასახვა-გაიგივების პრობლემას,
- კულტუროლოგიურ თავისებურებებს.

ამა თუ იმ სიტყვის, სიტყვათშეთანხმების, წინადადების განმარტებები საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ინტერპრეტაციის წესებსა და განვარტოთ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობებიც ლინგვისტები, ამ შემთხვევაში, ვაჯგუფებთ სიტყვის ტიპურ მნიშვნელობებს, ყურადღებას ვამახვილებთ ინტერპრეტაციებზედაც, სადაც ამ უკანასკნელის სტრატეგიებიც იგულისხმება, რომელიც მეტყველებაში უწყვეტ ნაკადად მოგვეწოდება და რეგისტრირდება საუკუნეების ქრილში მრავალი თაობის მიერ.

სიტყვის მნიშვნელობები „პატარა კუნძულებს“ ქმნიან, რომელთა შორისაც არსებობს სიტყვის რეალური მნიშვნელობები, სადაც მეტყველების ინტერპრეტაცია არა ნაკლებ კრეატიულია, ვინემ მეტყველების პროდუცირება, რომელიც კულტურასთანაა თანხვედრაში.

ლინგვისტიკაში არსებობს სიტყვათშეთანხმება „მოაზროვნე სამყაროები“, რომელიც ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, სამშობლოს და, რაც მთავარია, ღმერთის სიყვარულს გულისხმობს. ეს სიყვარული კაცობრიობის ნაწილია, წარსული და არსებულია, აწმყოა. აქ, ახალი, ნოვაციური უწყებების გენერირებული აზრები ბატონობს, რომლებიც საუკუნეების გადმოსახედიდან ჩვენს კულტურის ისტორიას ინტერპრეტირებული ფორმით წარმოგვიდგენს.

„მზიური ნისლით დაბურულ ნარიყალას ციხის ისტორიული ნაშთი ღრმა საიდუმლოებით იყო ჩემს წინაშე აღმართული“... ასე იწყებს იოსებ გრიშაშვილი თბილისის გაცნობას, რომელიც ესადაგება ჰაიდგერის ესთეტიკის ძირითად ცნებებს: „სამშობლო“, „მშობლიური ქალაქი“, „დედა-ქალაქი“,

ისტორია, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება იდეას იმის შესახებ, რომ ხელოვნება თავის თავში მოიცავს „ჭეშმარიტებას, როგორც არსებულის დაუფარაობას, ყოფიერების ახალი ფორმულირების აღმოჩენას, პიროვნული ღირებულებების გათვალისწინებას, ყოფიერებაზე გამარჯვებას ზოგადსაკაცობრიო იდეებიდან გამომდინარე.

„მზე ხატია მზიანი ღამისა და ეს ღმერთია!“ – ამბობს ნოდარ დუმბაძე.

მზის სხივები არეკლილია „ტიფლისის“ შემოგარენში, როგორი სიჭრელით ცხადდება ისინი ჩვენს წინაშე, რამდენი თვალისმომჭრელი სილამაზეა მასში, როგორი ნაშლილი ლიტერატურული ზღვარია ქალაქურ, დახვეწილ მეტყველებასა და ტიფლისის „დახუნძლულ“ კილო-კავებს შორის, რამდენი ათასი ტექსტური ურიცხვი ფრაგმენტები შეგვიძლია მოვიძიოთ ტფილისზე, რომელიც სახელგანთქმულ თუ „დავინწყებულ“ „ხალხურ“ პოეტებსა და მწერლებს ეკუთვნით.

„მზიანი ღამე“ დასდგომია ქალაქს. ეს სიტყვათშეთანხმება „კეთილ საუბარს“ ნიშნავს, ღვთიურობას, კეთილი საქმის ჩადენას.

მზეს დიდხანს უჭვრეტს ქართველნი, რომ შეიცნოს მის გვერდით მყოფი მტერია თუ მოყვარე და, მაინც მტერში, სამწუხაროდ, მოყვარეს ვეძებთ. „გიყვარდეს მტერი შენი“... ვპოულობთ კი მტერში მოყვარეს?!

ადამიანი ადამიანისათვის ყოველთვის „არ არის მზე, მაგრამ „კეთილად ნაუბარი“, რომელიც „ნიჭ ღმრთისას“ ნიშნავს, მაინც იმარჯვებს. ის ლოცვა-სავითაა...

„მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ სხვაგვარი“... საქართველოსა და ძველი ტფილისის სადიდებალი.

When studying the cultural image of any nation, the great importance is attached to mentality, where we take into account:

- idioethnic perception,
- the problem of reflecting/identifying one's own and "other's" mentalities,
- culturological features.

Interpretations of one or another word, word-combination, or sentence allow us to become familiar with the rules of interpretation and interpret both the literal and figurative meanings of the word. Linguists in this case group typical meanings of a word, focusing on interpretations as well, in which also strategies for interpretation are implied, delivered to us by the continuous flow of speech and recorded over centuries by many generations.

Word meanings generate "small islands", among which there are real meanings of the word, where the interpretation of speech is no less creative than the production of speech, which is in coincidence with culture.

In linguistics, there is a phrase "thinking worlds", which implies a love of history, literature, art, homeland, and, most importantly, God. This love is a part of humanity, the past and the existing present.

"The historical ruins of the Narikala fortress, shrouded in a sunny fog, towered up in front of me with a utmost secrecy..." This is how Ioseb Grishashvili begins his familiarization with Tbilisi, which corresponds to the fundamental concepts of

Heidegger's aesthetics: "homeland," "hometown," "capital (mother city)," and history, which, in its turn, is based on the idea that art contains "truth as the non-disclosure of what exists, the discovery of a new formulation of being, the consideration of personal values, the victory over being, based on panhuman ideas."

"The sun is the image of a sunny night, and this is God!" says Nodar Dumbadze.

"A sunny night" has come in the city. This word-combination means "good conversation", divinity, and the accomplishment of a good deed.

Georgians gaze at the sun for a long time trying to discern whether they are surrounded by an enemy or a friend, and yet, unfortunately, we seek a friend in an enemy. "Love your enemy"... But do we find a friend in an enemy?!

Man is not always a sun for other man, but „kindly spoken words“, which is “a God's gift”, prevail after all. It's like a prayer...

ნინო გოგიაშვილი

Nino Gogiashvili

**„ტფილისური ბოჰემის“, როგორც ევროპისა და აზიის კულტურათა
შესაყარის, რეცეფცია იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში
The Reception of 'Tbilisi Bohemia' as a Cultural Intersection of
Europe and Asia in the Work of Ioseb Grishashvili**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
Sulkhan-Saba Orbeliani University
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Social Sciences

საკვანძო სიტყვები: *გრიშაშვილი, პოეზია, ბოჰემა*

Keywords: *Grishashvili, Poetry, Bohemia*

იოსებ გრიშაშვილის მსოფლხედვა და პოეზია ევროპული და აზიური პოლარული ესთეტიკების სინქრონულ პრიზმაში ყალიბდება და მჟღავნდება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გაჟღერებული მისი ექსკლუზიური პოეტური ტემბრი თბილისური მგრძნობელობით არის განსაზღვრული, და ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი ძველი აღმოსავლური მოტივებითა და იმ დროს ახლად შემოჭრილი ევროპული სიმბოლიზმის გააზრებით ფორმირდება. ერთი მხრივ, აღმოსავლური მუხამბაზებით და, მეორე მხრივ, ევროპული სონეტებითა და ტრიოლეტებით წარმოდგენილი მისი პოეზია მოულოდნელ, ძლიერ და განსაკუთრებულ ემოციას იწვევს მკითხველში. როგორც ქართული ლექსის ვერსიფიკაციის ერთ-ერთი რეფორმატორი, იოსებ გრიშაშვილი, მუდმივი ძიებებისას, ცდილობდა, ქართული პოეზიისთვის შეეთავსებინა როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები, და არა თვითმიზნურად, არამედ, გემოვნებით შეეჯერებინა ისინი ქართულ ლიტერატურასთან.

ევროაზიური კულტურების სინთეზის გააზრების დასტურია 1917 წელს იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობით გამოცემული ლიტერატურული ჟურნალი „ლეილაც“, რომლის სახელწოდებითვეა განსაზღვრული დამაარსებლის შემოქმედებითი მიმართულება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ხედვა, გრიშაშვილის გარდა, „ცისფერყანწელების“ ლიტერატურული ჯგუფის წევრებისთვისაც ორგანული იყო; შესაბამისად, ქართული ლიტერატურა, იმ დროისთვის, ერთგვარ ევროაზიულ ჰიბრიდულ კულტურ-ესთეტიკურ ჰაბს წარმოადგენდა. აღმოსავლური ჟღერადობის ლიტერატურულ ჟურნალში, როგორც რედაქტორის, ისე სხვა ავტორების მიერ, წარმოდგენილი იყო წერილები ქართული კულტურისა და ხელოვნების შესახებ, სადაც ასახული იყო ქართული კულტურული მიკუთვნებულობის საკითხები და სამომავლო რეკომენდაციები.

იოსებ გრიშაშვილის მონოგრაფიულ ნარკვევებში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, რომელიც გამოიცა 1927 წელს, ასახულია და ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით განხილულია ძველი თბილისის ბოჰემური პრიზმა – იმდროინდელი ხელოვანების განსხვავებული, ქაოტური ცხოვრების წესით, ლიტერატურული აქტივობებითა და კულტურული სივრცით წარმოდგენილი; მონოგრაფიაში აღწერილია ძველ თბილისში არსებული თავშეყრის ადგილები – კაფეები, ქუჩები, აბანოები და სხვა მოსალხენ-გასართობი კუთხეები. ავტორი ემოციურად გვიყვება თბილისურ ყოფასა და ხალხის ზნე-ჩვეულებებზე, რაც ნათლად ადასტურებს ევროპული და აზიური ტრადიციების შერწყმას თბილისური ყოფის კონტექსტში.

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში თანაბარზომიერადაა ასახული როგორც ევროპული, ისე აზიური კულტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები; მეტიც, მისი მსოფლმხედველობა და კულტურული ესთეტიკა მოაზრებულია ევრაზიული ანთროპოლოგიური ხედვის ქართულ ინტერპრეტაციაზე. მოცემული რწმუნებულება დასტურდება მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში.

მისი პოეტური ინტუიცია დღევანდელი მსოფლიო კულტურული ტენდენციებისთვის – მისაღები, ქართული სალიტერატურო პერსპექტივისთვის კი მომგებიანი აღმოჩნდა.

Ioseb Grishashvili's worldview and poetry are shaped and expressed through a synchronous prism of European and Asian polar aesthetics.

His distinctive poetic voice, emerging at the turn of the 19th and 20th centuries, is determined by a specifically Tbilisi sensibility, and is formed by the ancient Oriental motifs characteristic of this city and the understanding of European Symbolism, which had only recently entered the Georgian literary space. On the one hand, his poetry, expressed through Oriental mukhambazi forms, and, on the other hand, through European sonnets and triolets, evokes unexpected, strong and special emotions in the reader. As one of the reformers of Georgian versification, Ioseb Grishashvili, in his constant search, sought to integrate both European and Eastern fixed poetic forms into Georgian poetry, and not as an end in itself, but through a refined synthesis harmonized with the Georgia literary tradition.

Proof of this Eurasian cultural synthesis is the literary journal "Leila", published in 1917 under the editorship of Ioseb Grishashvili, whose title reflects the creative direction of its founder. It is noteworthy that such a vision was not unique to Grishashvili, for the members of the "Tsisperkantslebi" literary group; accordingly, Georgian literature, at that time, can be understood as a kind of Eurasian hybrid cultural and aesthetic hub. The literary journal with an Oriental sound, featured contributions by both the editor and other authors on Georgian culture and art, which addressed questions of cultural identity and offered perspectives for future development.

Ioseb Grishashvili's monographic essay *The Literary Bohemia of Old Tbilisi*, published in 1927, presents and examines, from a historical and literary perspective the Bohemian prism of Old Tbilisi – portrayed through the unconventional and

often chaotic lifestyles of artists, their literary activities and cultural space; The monograph describes the gathering places in Old Tbilisi – cafes, streets, baths and other sites of leisure and entertainment. The author emotionally tells us about Tbilisi life and the customs of the people, clearly illustrating the fusion of European and Asian traditions in the context of Tbilisi life.

In Grishashvili's work, elements characteristic of both European and Asian cultures are presented in a balanced and integrated manner.

Moreover, his worldview and aesthetic sensibility may be interpreted as a distinctly Georgian articulation of a broader Eurasian perspective.

თათია დავითაძე

Tatia Davitadze

ანტიკური მითოსი და ქალაქური რეალობა:
კოლხი მედეას რეინტერპრეტაცია XVIII-XX საუკუნეების ქართულ
მწერლობასა და სახვით ხელოვნებაში
**Ancient Myth and Urban Reality: The Reinterpretation of Medea of Colchis in
18th-20th Century Georgian Literature and Fine Arts**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: მედეას ხეცეფცია, ანტიკური მითოსი, გფიდიუსი ბოჰემა, კულტურული იდენტობა, უბანური ხელოვნება.

Keywords: Reception of Medea, Ancient Myth, Tiflis Bohemia, Cultural Identity, Urban Reality.

მოსხენება მიზნად ისახავს კოლხი მედეას არქეტიპული სახის ტრანს-ფორმაციის კვლევას XVIII-XX საუკუნეების ქართულ კულტურულ სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ მედეას მითი ანტიკურობიდან იღებს სათავეს, მისი რეინტერპრეტაცია მოდერნულ და პოსტ-მოდერნულ ეპოქაში მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული იდენტობის ძიებასა და ურბანული კულტურის განვითარებას.

მოსხენების ძირითადი აქცენტები მიმართულია შემდეგ საკითხებზე:

1. მითოსი, როგორც ისტორიული მეხსიერების ნაწილი: XVIII-XIX საუკუნეების ლიტერატურაში მედეას ფიგურა ხშირად განიხილება არა მხოლოდ როგორც მითოლოგიური პერსონაჟი, არამედ როგორც საქართველოსა და დასავლური სამყაროს კულტურული დიალოგის სიმბოლო. თბილისური ბოჰემისა და ქალაქური ინტელიგენციისთვის მედეა იქცა კავშირად „ოქროს ხანასთან“, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა იოსებ გრიშაშვილის ეპოქის შემოქმედებით წრეებში.

2. მედეას სახე ქართულ მწერლობაში: თეზისებში განხილულია, თუ როგორ იცვლება მედეას რეცეფცია – ტრაგიკული დედისა და ჯადოქრის სახიდან, ინტელექტუალი და კულტურათმორისი მედიატორის სიმბოლომდე. ქალაქური რეალობის ფონზე, მედეას სახე ხშირად გამოიყენებოდა ქალის ემანსიპაციისა და სოციალური ცვლილებების მეტაფორად.

3. სახვითი ხელოვნება და ვიზუალური ნარატივი: კვლევა ეხება მედეას იკონოგრაფიას ქართულ ფერწერასა და გრაფიკაში. ქალაქურ სივრცეში არსებული ვიზუალური ხელოვნება მითს სძენს ახალ სიცოცხლეს, სადაც ანტიკური სამოსი და ატრიბუტიკა ერწყმის თბილისურ კოლორიტს, ქმნის რა ერთგვარ ეკლექტურ, ბოჰემურ ესთეტიკას.

4. მედეას მითის რეინტერპრეტაცია XVIII-XX საუკუნეების საქართველოში არ ყოფილა მხოლოდ ლიტერატურული ექსპერიმენტი. ეს იყო მცდელობა,

რომ ანტიკური წარსული გამხდარიყო თანამედროვე ქალაქური ცხოვრებისა და კულტურული მრავალფეროვნების ორგანული ნაწილი. იოსებ გრიშაშვილის მიერ აღწერილი „ტფილისური ბოჰემა“ სწორედ ის სივრცეა, სადაც კლასიკური მითოსი და ყოველდღიური რეალობა ერთმანეთს ხვდება და ქმნის ქალაქის უნიკალურ იდენტობას.

This paper explores the transformation of the archetypal image of Medea of Colchis within the Georgian cultural space from the 18th to the 20th century. Although the myth of Medea originates in antiquity, its reinterpretation during the modern and post-modern eras is closely linked to the quest for national identity and the evolution of urban culture.

The primary focus of the research is directed toward the following issues:

1. Myth as a Component of Historical Memory: In the literature of the 18th and 19th centuries, the figure of Medea is frequently regarded not merely as a mythological character, but as a symbol of the cultural dialogue between Georgia and the Western world. For the “Tiflis Bohemia” and the urban intelligentsia, Medea served as a bridge to the “Golden Age,” a concept that became particularly relevant within the creative circles of Ioseb Grishashvili’s era.

2. The Image of Medea in Georgian Literature: The thesis examines the shift in the reception of Medea—evolving from the persona of the tragic mother and sorceress to a symbol of the intellectual and intercultural mediator. Against the backdrop of urban reality, the figure of Medea was often employed as a metaphor for female emancipation and social change.

3. Fine Arts and Visual Narrative: The study addresses the iconography of Medea in Georgian painting and graphics. Visual arts within the urban space breathe new life into the myth, where ancient attire and attributes merge with the distinct “Tiflis color” (local flavor), creating a unique, eclectic, and bohemian aesthetic.

4. Reinterpretation of the Medea myth in 18th-20th century Georgia was not merely a literary experiment. It represented an effort to integrate the ancient past into the organic fabric of modern urban life and cultural diversity. The “Tiflis Bohemia” described by Ioseb Grishashvili is precisely the space where classical myth and everyday reality intersect to forge the city’s unique identity.

ასია დარბინიანი

Asya Darbinyan

თბილისური ბოჰემა:
იოსებ გრიშაშვილისა და ჰოვანეს თუმანიანის
კულტურული დიალოგი
Tbilisi Bohemia:
The Cultural Dialogue between Ioseb Grishashvili and
Hovhannes Tumanyan

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი,
სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიის კათედრა
Yerevan State University, Faculty of History, Department of History of
the Countries Bordering Armenia

საკვანძო სიტყვები: *იოსებ გრიშაშვილი; ჰოვანეს თუმანიანი; თბილისი; სომხეთი; თახგმანი; კულტურული დიალოგი*

Keywords: *Ioseb Grishashvili; Hovhannes Tumanyan; Tbilisi; Armenia; Translation; Cultural dialogue*

მოხსენება ეხება თბილისური ბოჰემის ფენომენს, როგორც უნიკალურ კულტურულ-ესთეტიკურ სივრცეს და მასში ორი გამოჩენილი პოეტის – იოსებ გრიშაშვილისა და ჰოვანეს თუმანიანის – შემოქმედებით ურთიერთობას. კვლევის მიზანია წარმოაჩინოს თბილისი, როგორც „ქალაქი-აკადემია“ და საერთო კულტურული ეპიცენტრი, სადაც ქართული და სომხური ინტელექტუალური ენერჯია ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს.

მოხსენების ცენტრალური ნაწილი დაეთმობა თუმანიანის სახლს, ცნობილ „ვერნატუნს“, რომელიც კავკასიის ლიტერატურულ ცენტრად იქცა. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ როგორ ქმნიდნენ პოეტები ქალაქის იმ სულს, სადაც ქართული და სომხური სიტყვა ბუნებრივად ენაცვლებოდა ერთმანეთს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საიათნოვას ფენომენზე, რომელიც გრიშაშვილისა და თუმანიანისთვის საერთო შემოქმედებით საძირკველსა და ხალხთა შორის ძმობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

მოხსენების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მთარგმნელობითი მოღვაწეობის ანალიზი. გრიშაშვილის მიერ თარგმნილი თუმანიანის ლექსები განხილულია არა მხოლოდ როგორც ტექსტუალური ტრანსფორმაცია, არამედ როგორც რიტმისა და სულის შენარჩუნების მცდელობა, რამაც ხელი შეუწყო სომხური პოეზიის გავლენის ასახვას თავად გრიშაშვილის მეტაფორულ ენასა და ლექსიკაში.

დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია თბილისური ბოჰემის სომხური კომპონენტის მნიშვნელობა: იოსებ გრიშაშვილისა და ჰოვანეს თუმანიანის მემ-

კვიდრეობა დღესაც აქტუალურია, რადგან ის გვასწავლის, რომ ნამდვილი კულტურული ფენომენი არა განკერძოებაში, არამედ ურთიერთზიარებაშია. თბილისური ბოჰემის სომხური ნაწილი არ არის განცალკევებული თავი, არამედ იმ ერთიანი მოზაიკის განუყოფელი ფრაგმენტია, რომელსაც თბილისური კულტურა ჰქვია.

The paper examines the phenomenon of Tbilisi bohemia as a unique cultural and aesthetic space, as well as the creative relationship between two of its prominent poets, Ioseb Grishashvili and Hovhannes Tumanyan. The aim of the study is to present Tbilisi as a “city-academy” and a shared cultural epicenter, where Georgian and Armenian intellectual energies merged organically.

The central part of the presentation is devoted to Tumanyan’s house, the famous “Vernatun”, which became a major literary center of the Caucasus. The paper analyzes how these poets contributed to shaping the soul of the city, where Georgian and Armenian literary voices naturally interacted and complemented one another. Special attention is given to the phenomenon of Sayat-Nova, who for both Grishashvili and Tumanyan represented a shared creative foundation and a symbol of intercultural brotherhood.

A key section of the paper focuses on translation. Grishashvili’s translations of Tumanyan’s poetry are considered not merely as textual transformations, but as attempts to preserve rhythm and spirit. These translations also reflect the influence of Armenian poetry on Grishashvili’s own metaphorical language and vocabulary.

The final section highlights the importance of the Armenian component within Tbilisi bohemia. The legacy of Ioseb Grishashvili and Hovhannes Tumanyan remains relevant today, as it demonstrates that genuine cultural phenomena emerge not in isolation, but through dialogue and shared creative experience. The Armenian dimension of Tbilisi bohemia is not a separate chapter, but an integral part of the unified cultural mosaic known as Tbilisi.

მონიკა ესებუა

Monika Esebua

ქალაქური სოციოლექტის რეპრეზენტაცია
იოსებ გრიშაშვილის ტექსტებში
Representation of Urban Sociolect in the Texts
of Ioseb Grishashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
Ivane Javakhishvili Tbilisi State University National Scientific Library

საკვანძო სიტყვები: ქალაქური სოციოლექტი, სოციოლინგვისტიკა,
მორფოსინტაქსი, დექსიკა, ნახატივი

Keywords: Urban sociolect, Sociolinguistics, Morphosyntax, Lexicon, Narrative

სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ქალაქური სოციოლექტი, რომელიც ასახავს ენისა და სოციალური სტრუქტურის ურთიერთმიმართებას. იოსებ გრიშაშვილის ტექსტები ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალას გვთავაზობს, რადგან ისინი მდიდარია თბილისის ურბანული მეტყველების ნიმუშებით და მრავალფეროვანი სოციალური ფენების ენობრივი თავისებურებების რეპრეზენტაციით.

მოსხენების მიზანია იოსებ გრიშაშვილის ტექსტებში ქალაქური სოციოლექტის რეპრეზენტაციის ანალიზი მორფოსინტაქსურ, ლექსიკურ და პრაგმატულ დონეებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ენობრივ ერთეულებს, როგორცაა სლენგი, დიალექტური ფორმები, უცხოენოვანი ელემენტები და სტილისტურად მარკირებული კონსტრუქციები, რომლებიც ასახავს პერსონაჟთა სოციალურ კუთვნილებასა და კულტურულ გარემოს. კვლევა ეფუძნება ტექსტუალურ და დისკურსულ ანალიზს, რაც შესაძლებელს ხდის გამოვავლინოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ქალაქური მეტყველება პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციისა და ნარატიული სტრუქტურის ფორმირების პროცესში.

ქალაქური სოციოლექტი გრიშაშვილის ტექსტებში არ შემოიფარგლება რეალისტური აღწერის ფუნქციით, არამედ წარმოადგენს ტექსტის სემანტიკური და პრაგმატული ორგანიზაციის მნიშვნელოვან კომპონენტს. იგი ქმნის სოციალურ კონტექსტს, ამდიდრებს ნარატივს და უზრუნველყოფს ტექსტის ავთენტურობას.

Urban sociolect represents one of the key research domains in sociolinguistics, reflecting the relationship between language and social structure. The texts of Ioseb Grishashvili provide particularly valuable material in this regard, as they richly

depict the urban speech of Tbilisi and represent the linguistic features of diverse social groups.

The aim of the research is to examine the representation of urban sociolect in Grishashvili's texts at morphosyntactic, lexical, and pragmatic levels. Special attention is paid to linguistic elements such as slang, dialectal forms, foreign borrowings, and stylistically marked constructions, which reflect the social affiliation and cultural background of the characters. The methodology is based on textual and discourse analysis, enabling the identification of the functional role of urban speech in characterisation and narrative construction.

The urban sociolect in Grishashvili's texts extends beyond a mere tool of realistic depiction. It functions as a crucial component of semantic and pragmatic organisation, contributing to the construction of social context, enriching the narrative, and enhancing textual authenticity.

ქეთევან ნადირაძე

Ketevan Nadiradze

**თბილისი ვალერიან გაბაშვილის შემოქმედებაში
Tbilisi in Valerian Gabashvili's Works**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარული ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: *თბილისი, მწეხადი, მეცნიეხი.*

Keywords: *Tbilisi, writer, scientist*

ფართო პროფილის მედიევისტის და აღმოსავლეთმცოდნეობის საისტორიო სკოლის ფუძემდებლის ვალერიან გაბაშვილის (1911-1985) სამეცნიერო კვლევებში ქალაქის და საქალაქო ცხოვრების, განსაკუთრებით თბილისის შესწავლას დიდი ადგილი უკავია. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიგებთ, ქალაქ თბილისის წარსულით იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაინტერესებულა და ამ ინტერესზე დიდი გავლენა მოუხდენია გაბაშვილების ოჯახის ახლობელს, ცნობილ მკვლევარსა და პოეტს იოსებ გრიშაშვილს. ვფიქრობთ ამ გავლენისა და თბილისის იმდროინდელი ყოფის გათვალისწინებით, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქალაქის იერ-სახე, განაპირობებულია რომანის „აივნიანი ქალაქის“ დაბადება, რომელიც მეცნიერმა ნიკოლოზ გაბაონის ფსევდონიმით გამოსცა. რომანში პერსონაჟთა და ისტორიულ პირთა მდიდარი პალიტრაა წარმოდგენილი. საუკეთესოდ არის წარმოჩენილი თბილისის სოციალური სპექტრი, ის ყოფა-კულტურა, რითიც ხასითადებოდა თბილისი როგორც კავკასიის ცენტრი. რომანში კარგად ჩანს ავტორის ისტორიული და სხვა მასალის ღრმაცოდნა თბილისის შესახებ. საინტერესოდ და დინამიურად მოგვითხრობს საქალაქო ცხოვრებას.

უნდა ითქვას, რომ ვ. გაბაშვილს მრავალმხრივი ინტერესები გააჩნდა. ერთი პერიოდი იგი მსახიობობდა, შემდეგ დაამთავრა უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი, მაგრამ საბოლოოდ მან ისტორიკოსობა აირჩია და ეს არჩევანი ივანე ჯავახიშვილთან შეხვედრამ განაპირობა. სამეცნიერო მოღვაწეობის დროსაც მეცნიერის ინტერესი ქალაქისადმი, კერძოდ თბილისის მიმართ არ განელეებულა. მას მეცნიერულად ზედმიწევნით აქვს შესწავლილი შუასაუკუნეების თბილისი, მისი პოლიტიკური სტატუსი, თბილისის „მოქალაქეთა“ კლასობრივი და პოლიტიკური მისწრაფებანი, განსაზღვრული აქვს მოქალაქეთა საგადასახადო სისტემა, მოქალაქეთა საზოგადოებრივი ფენები, სამოქალაქო ტერმინთა განმარტებები და მრავალი

სხვა. მას განსხვავებულად აქვს დანახული და შეფასებული 1082-1122 წლების თბილისის სტატუსი. როგორც ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის, შესახებ, რომ ამ პერიოდის თბილისმა ქალაქი-კომუნას სტატუსი შეიძინა. გაბაშვილი ეჭქვეშ აყენებს აქ ქალაქ-კომუნის არსებობას. იგი ამ ვითარების შესაფასებლად ითვალისწინებს რა ისტორიკოსების, ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ცნობებს, ავლებს პარალელებს აღმოსავლურ ქალაქებში მიმდინარე პროცესებთან და მიდის დასკვნამდე: თბილისში 1082-1122 წლებში არსებობდა ხალხის მმართველობა და ამ ხალხში ქალაქის მეამბოხე ნაწილი(დაბალი ფენა) იგულისხმება, რომელიც არისტოკრატის წინააღმდეგ გამოდიოდა. ზოგადად მისი ხედვა „გარედან შიგნით“ ბევრ საინტერესო, ორგინალურ და ანგარიშგასაწევ დებულებებს გვთავაზობს.

ერთი საკითხის (თბილისი) განხილვის საფუძველზეც კი კარგად ჩანს ის ფართო დიაპაზონი, ნიჭიერება, დიდი პროფესიონალიზმი, რომლითაც ხასიათდება ვალერიან გაბაშვილის როგორც სამეცნიერო ასევე ლიტერატურული მემკვიდრეობა.

Studying the cities and urban life, especially Tbilisi, occupies a significant place in the scientific research by Valerian Gabashvili, the wide-profile medievalist and founder of the historical school of the oriental studies. As we can see in his biography, he was interested in the past of the City of Tbilisi when he was young and this interest was greatly influenced by Ioseb Grishashvili, the close friend of the Gabashvili family, famous researcher and poet. In our view, this influence and lifestyle of that period in Tbilisi, the city that still maintained the image of the second half of 19th century, have conditioned the birth of the novel "A Balcony City", published by the scientist under the pseudonym Nikoloz Gabaoni. The novel presents a wide range of the characters and historical persons. It provides an outstanding description of Tbilisi social spectrum, the everyday life and culture, characteristic for Tbilisi, as the center of Caucasus. The novel clearly demonstrates the author's deep knowledge of history and other materials about Tbilisi. He offers an interesting and dynamic story of urban life.

We should admit that V. Gabashvili had diverse interests. For a certain period he was an actor, further, he graduated Socioeconomic Faculty of the University, but finally, he chose to become a historian and this choice was conditioned by his meeting with Ivane Javakhishvili. In the period of his research activities, the scientist's interest to the city, particularly to Tbilisi, did not fade. He has studied medieval Tbilisi thoroughly, indeed scientifically, including its political status, class and political aspirations of Tbilisi "citizens", he has identified the citizens' taxation system, social strata of the citizens, definitions of the civil terms etc. He provided a different vision and assessment of Tbilisi status in 1082-1122. As it is widely known, in Georgian historiography, there is a widespread view that Tbilisi of that period has acquired the status of a city-commune. Gabashvili casted doubt upon the existence of the city-commune here. Taking into consideration the data of historians Al-Farik and Al-Jauz, for assessment of situation, he found similarities with the processes

in the oriental cities and made conclusion that in 1082-1122, in Tbilisi, the city was ruled by the people and these people implied the rebellious part of the city (lower strata) that fought with the aristocracy.

Based on the discussion of a single question (Tbilisi), we can clearly see the wide range, talent and professionalism characteristic for Valerian Gabashvili's scientific and literary heritage.

თამარ პაიჭაძე

Tamar Paichadze

იოსებ გრიშაშვილის პოეზიის თანამედროვე რეცეფციისათვის
For the modern reception of Ioseb Grishashvili's poetry

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარული ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: *ქართული პოეზია, XX საუკუნე, იოსებ გრიშაშვილი, დიგეზიფიკაციური ანალიზი, კოლონიური დისკურსი*

Keywords: *Georgian poetry, 20th century, Ioseb Grishashvili, literary analysis, colonial discourse*

XX საუკუნის პოეტთა კოჰორტაში იოსებ გრიშაშვილი იმთავითვე გამოირჩა... თუმცა, ეს გამორჩეულობა მხოლოდ დადებითი კუთხით არ მოიაზრებოდა. იოსებ გრიშაშვილის მიმართ ხაზგასმულად გაშუალებული, ცალსახა დამოკიდებულება ჰქონდა მკითხველსაც და ლიტერატურულ კრიტიკასაც; ზოგს იგი ძალიან მოსწონდა, ზოგს კი ძალიან არ მოსწონდა...

მისი ლექსები მაშინდელი რომანტიკული განწყობილების, სატრფიალო ემოციის, ჭაბუკური გატაცების, ხოლო ზოგჯერ, ეროტიკული განცდებისა და მსუბუქი ფლირტის სიმბოლოდ იქცა. ალბათ სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მაშინ, როდესაც იოსებ გრიშაშვილის პირველი პოეტური კრებულები იბეჭდებოდა, შემოქმედებითი პარნასის ნევრებმა თავიანთ რიგებში „ვერ მიიღეს“ „ოცნების კოცნის“ ავტორი და „პეპელას ფრთებზე გამოძინება“ და „ზამბახზე მსუბუქი“ ლექსები არასერიოზულ აზრებად თუ ლიტერატურულ ვარჯიშად ჩაუთვალეს, მართლებიც იყვნენ – იოსებ გრიშაშვილის ადრინდელი პოეზია საპნის ოპერის განცდებით იყო სავსე, ამ ლექსების ლირიკულ გმირად კი თავად პოეტი წარმოდგებოდა: მოქეიფე, რაყიფი, ზოგჯერ ქალის ალერსითა და სიყვარულით განებივრებული, ზოგჯერ კი მისგან ზურგშექცეული, მწარედ ატირებული, ხან გულბერყვილო, ხან კი ქალის ბუნების მცოდნე არშიყი; მისი ლექსები იმ დროს ძალიან მოდურ საფლირტო ლოტოს ჰგავდა ჟუნჟრუკოს, ნარგიზისა და ზამბახ-სუმბულის ტრიფიალური განცდა-დილოგებით. და მაინც, მკითხველი ხშირად მისი სტრიქონებით გამოხატავდა ემოციასაც, პოეზიის ცოდნასაც და სიყვარულსაც. ერთი რამ ცხადია, ის ადრეული ხანა, იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებისა, მართლაც იქცა ლიტერატურული წრთობის, მუხლის გამაგრების, ბევრად უფრო დახვეწილი და მნიშვნელოვანი სათქმელის წინაეტაპად.

.თუმცა პოეტური აღიარების გზა უცებ არ გაუვლია, იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი ყოფა თვალის ერთი გადავლევით იქნება კიდევაც იყო ჯერ ლალი მიჯნურის, შემდეგ საბ ჭოთა მწერლის, მოგვიანებით კი პოეტი-აკადემიკოსის ია-ვარ დებითა და დაფნის გვირგვინებით მოხილი სავალი, მაგრამ ალტაცებული მგოსნის ყოფაც და ფიქრებიც ბევრად უფრო მძიმე, ტკივილიანი და მრავალკითხვისნიშნისანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით გაიაზროს მისმა მკითხველმა.

Among the cohort of poets of the 20th century, Ioseb Grishashvili stood out from the very beginning... However, this distinction is not only meant by a positive attitude. Both readers and literary critics had a clearly double standard, a somewhat radical attitude towards Ioseb Grishashvili; some liked him very much, while others did not like him very much.

His poems became a symbol of the romantic moods of that time, amorous emotions, youthful passions and moods, and sometimes, erotic feelings and light flirting. This was the reason why, when Ioseb Grishashvili's first poetry collections were being published, the members of the creative Parnassus "could not accept" the author of "Dream Kiss" into their ranks and considered the poems "Sleeping on Butterfly Wings" and "Lighter Than a Lily" to be frivolous thoughts or literary exercises.

They were right – Ioseb Grishashvili's earlier poetry was full of soap opera emotions, and the lyrical hero of these poems was the poet himself: a lover of fun and flirtation, pampered by the caress and love of a woman and sometimes, on the contrary, rejected by his beloved woman and crying bitterly, sometimes naïve and sometimes a connoisseur of female nature;

His poems at that time resembled a very fashionable flirting game with trivial feelings and dialogues. And yet, the reader often expressed his emotions, knowledge of poetry and love through his poems. One thing is clear, that early period of Ioseb Grishashvili's work really became a prelude to literary maturity, creative refinement, and much more sophisticated and important things to say.

Although the path to poetic recognition did not come suddenly, the creative life of Ioseb Grishashvili becomes apparent with just a glance. It may have been a path strewn with laurels for the successful career of the first beloved, then a Soviet writer, and later a poet-academician, but the life and thoughts of the admiring poet turned out to be much more difficult, painful, and full of questions than his readers might realize at first glance.

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

თბილისის ლიტერატურული ბოჰემა და მისი რეპრეზენტაცია
ლიტერატურასა და ხელოვნებაში
The Literary Bohemia of Tbilisi and Its Representation in Literature and Art

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თბილისის ბოჰემა, დიგეხაგუხუდი ხეპრეზენტაცია, მოდერნიზმი, ურბანული კულტურა, ხელოვნება.

Keywords: Tbilisi bohemia, literary representation, modernism, urban culture, art.

თბილისის ლიტერატურული ბოჰემა წარმოადგენს მრავალშრიან კულტურულ ფენომენს, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული მოდერნიზტული ცნობიერების ფორმირებაში. ბოჰემური ცხოვრების წესი, რომელიც გულისხმობს სოციალური ნორმებისგან დისტანცირებას, თავისუფალ შემოქმედებით თვითგამოხატვასა და მარგინალურ სოციალურ მდგომარეობას, თბილისის ურბანულ სივრცეში იძენს სპეციფიკურ, ლოკალურ კოლორიტს.

ლიტერატურულ წყაროებში ბოჰემა ხშირად წარმოდგენილია, როგორც მეხსიერების ადგილი, წინააღმდეგობის სივრცე, სადაც ინდივიდი უპირისპირდება ბურჟუაზიულ მორალსა და კონვენციურ ღირებულებებს. ამავე დროს, იგი ასახავს შინაგან დრამატიზმს, ეგზისტენციალურ ძიებასა და თვითიდენტობის კრიზისს. ვიზუალურ ხელოვნებაში ბოჰემის რეპრეზენტაცია გამოიხატება ურბანული პეიზაჟების, პორტრეტებისა და სიმბოლისტური ფორმების მეშვეობით, რაც ხაზს უსვამს თბილისის, როგორც კულტურული და, ამავდროულად, ჰიბრიდული სივრცის მნიშვნელობას.

მოხსენებაში ვისაუბრებთ თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაზე, როგორც თავისუფალ სივრცეზე, რომელიც რეპრეზენტირდება ლიტერატურასა და ხელოვნებაში და ასახავს როგორც ინდივიდუალური შემოქმედის, ისე კოლექტიური კულტურული მეხსიერების ტრანსფორმაციას.

The literary bohemia of Tbilisi represents a multi-layered cultural phenomenon that becomes particularly prominent in the late 19th century and the first half of the 20th century, playing a significant role in the formation of Georgian modernist

consciousness. The bohemian way of life, characterized by a distancing from social norms, free creative self-expression, and a marginal social position, acquires a specific local color within the urban space of Tbilisi.

In literary sources, bohemia is often represented as a site of memory and a space of resistance, where the individual opposes bourgeois morality and conventional values. At the same time, it reflects inner dramatism, existential quest, and a crisis of self-identity. In visual art, the representation of bohemia is expressed through urban landscapes, portraits, and symbolist forms, emphasizing the significance of Tbilisi as both a cultural and a hybrid space.

The presentation will discuss the literary bohemia of Tbilisi as a free space represented in literature and art, reflecting the transformation of both the individual creator and collective cultural memory.

ნინო სიმონიშვილი

Nino Simonishvili

თბილისი დიმიტრი ერისთავის შემოქმედებაში
Tbilisi in the Art of Dimitri Eristavi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: *თბილისი, ხელოვნება, ისტორია, ურბანიზმი, გზა*

Keywords: *Tbilisi, art, history, urbanism, time*

დიმიტრი ერისთავი მრავალმხრივი ხელოვანია, რომელიც ცნობილია როგორც გრაფიკოსი, ფერმწერი, წიგნის ილუსტრატორი და კინომხატვარი. ყველა ამ ჟანრში ქალაქი და ქალაქური ცხოვრება მხატვრის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა. როგორც თავად ხელოვანი აღნიშნავდა, მისი ყველაზე საყვარელი და ცნობილი ნამუშევრები თბილისის ჟანრული კომპოზიციებია, რომლებშიც იგი დიდი სითბოთი და ლირიზმით გადმოცემს ქალაქური ყოფის ცალკეულ, თითქოს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს. შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი ერისთავი თითქოს ერთ ამბად მოთხრობილ ისტორიად გვიჩვენებს ქალაქურ ყოფას, ადამიანებს და მათი ცხოვრების ურბანულ დინამიკას, რომლებშიც პატარა ცხოვრებისეულ ეპიზოდებად გადმოცემული სცენები, თბილისური ყოფის ლირიულ, ემოციურობით სავსე პოეტურ სურათებს ქმნის. მხატვრის სხვადასხვა სერიებში ერთმანეთს ანაცვლებს ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი კოლორიტული გარემო რიკულებიანი აივნებით, ვიწრო ქუჩებით, ყოველდღიური ყოფის თითქმის რიტუალად ქცეული ეპიზოდებითა თუ გახსნილი ადამიანურ ურთიერთობებით და ურბანიზმულ ქალაქში ასახული თანდათან მივიწყებას მიცემული სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც ნოსტალგიურ განწყობას აღძრავს მაყურებელში და ქალაქის წარსულიდან ამოღებულ ვიზუალური ციტატების ასოცირებას იწვევს. მათგან განსხვავებულია, ქალაქის სწრაფ რიტმსა და მოძრაობაში, ახალ ურბანულ ესთეტიკაში აღბეჭდილი თანამედროვე თბილისელები, რომელთა გახსნილი ურთიერთობები თანდათან, მისტიური და ეფემერული ფიგურების სევდიან რეალობაში ინაცვლებს, სადაც ქრება ერთ დროს სიცოცხლით სავსე ქალაქის მომხიბლავი და სიყვარულით გამთბარი არომატი. მხატვრის დაკვირვებული თვალი, მსუბუქი ირონიით, იუმორითა და ზოგჯერ სარკაზმით გვისურათებს იმ სოციალურ ცვლილებებს, რომლებიც განაპირობებენ ქალაქის სხვადასხვა რიტმსა და განწყობას. მოხსენების მიზანია განიხილოს დიმიტრი ერისთავის მიერ გრაფიკულ და ფერწერულ

სერიებში, პორტრეტებსა თუ კინომხატვრობაში აღბეჭდილი თბილისი, როგორც ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების ვიზუალური არქივი.

Dimitri Eristavi is known as a graphic artist, painter, book illustrator, and movie designer. Across all these genres, the city and urban life are central themes in his work. As the artist himself has noted, his most beloved and well-known works are his genre compositions of Tbilisi, in which he conveys seemingly insignificant details of urban life with great warmth and lyricism. It can be said that Dimitri Eristavi depicts city life, people and the urban dynamics of their lives as a single story, in which scenes, presented as small life episodes, create lyrical, emotionally rich poetic images of life in Tbilisi. In various series of the artist's works, the colorful setting of old Tbilisi alternates with winding balconies, narrow streets, episodes of everyday life that have become almost ritualistic, open human relationships, and people of various professions gradually forgotten in the urbanized city. This evokes a nostalgic mood in the viewer and visual references to the city's past. They are distinguished by modern Tbilisi residents, captured in the fast pace and movement of the city, in a new urban aesthetic, whose open relationships are gradually replaced by the sad reality of mystical and ephemeral images, where the charming and loving aroma of a city once full of life disappears. The artist's attentive eye, with a touch of irony, humor, and occasional sarcasm, captures the social changes that define the city's diverse rhythms and moods. The purpose of this talk is to discuss Tbilisi, as captured by Dimitri Eristavi in graphic and painting series, portraits, and film art, as a visual archive of historical, political, and social change.

თამარ სტურუა

Tamar Sturua

**ტფილისური ბოჰემის ვიზუალური და ვერბალური პარადიგმები:
ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანის) „ორთაქალის ტურფები“ (დიფტიქი)
და იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ქრონიკები**

**Visual and verbal paradigms of Tiflis bohemia: Niko Piroshmanashvili's
(Phirosmani) „Beauties of Ortachala“ (diptych) and
Ioseb Grishashvili's urban choicess**

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა
Dimitri Shevardnadze National Gallery of Georgia

საკვანძო სიტყვები: *თბილისური ბოჰემა, ნიკო ფიროსმანაშვილი/ფიროსმანი, იოსებ გრიშაშვილი, კულტურული იდენტობა, „ორთაქალის ტურფები“.*

Keywords: *Tiflis bohemia, Niko Piroshmanashvili/Phirosmani, Ioseb Grishashvili, cultural identity, „The Beauties of Ortachala“.*

მოსხენება ეძღვნება XVIII-XX საუკუნეების თბილისის კულტურული ფენომენის „ტფილისური ბოჰემის“ კვლევას ორი უმნიშვნელოვანესი ფიგურის: ნიკო ფიროსმანაშვილისა/ფიროსმანის და იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების მაგალითზე. კვლევის ცენტრალურ მაგალითს წარმოადგენს ნიკო ფიროსმანაშვილის ცნობილი დიპტიქი „ორთაქალის ტურფები“, რომელიც განიხილება, როგორც ეპოქის სოციალური და ესთეტიკური კოდი. (იხილეთ დანართის სახით აღნიშნული ტილო)

იოსებ გრიშაშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც აკადემიური სიზუსტით აღწერა ქალაქის „დაბალი“ ფენების ყოფა, მათი ენა და შემოქმედებითი დინამიკა.

მისი ნაშრომი: „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ქმნის იმ ვერბალურ ქსოვილს, რომელშიც ფიროსმანის პერსონაჟები ცოცხლდებიან. მოხსენებაში გავაანალიზებთ, თუ როგორ ხდება დიპტიქში წარმოდგენილი „ტურფების“ სახით სოციალურად მარგინალიზებული პერსონაჟების მითოლოგიზაცია. ფიროსმანი მათ ხატავს მონუმენტური სიმშვიდით, შავ ფონზე თეთრი სამოსის კონტრასტით, რითაც ყოფით სცენას საკრალურ ელფერს სძენს. ჩითებისა და ყვავილების სიმბოლოებში ხაზს უსვამს ბოჰემური ყოფის ესთეტიზაციას, რაც ეხმიანება გრიშაშვილისეულ ინტერპრეტაციას, სადაც ქალაქური ბოჰემა წარმოჩენილია, როგორც თვითმყოფადი კულტურული ერთეული.

მოსხენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „კულტურული სივრცის“ გააზრებას. ორთაქალის ბაღები, როგორც ბოჰემური თავშეყრის ადგილი, წარმოადგენს ერთგვარ ჰეტეროტოპიას, სადაც იკვეთება ტრადიციული აღმოსავლური ყოფა და ახალი, ევროპული ტიპის ურბანული გართობა.

ფიროსმანის ვიზუალური გართობა დიპტიქში და გრიშაშვილის ლიტერატურული ქრონიკები ურთიერთშემავსებელ სურათს ქმნის, აფიქსირებს რა იმ გარდამავალ პერიოდს, როდესაც ქალაქის იდენტობა ტრანსფორმაციას განიცდიდა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ფიროსმანის „ორთაჭალის ტურფები“ და გრიშაშვილის ტექსტები ქმნიან ერთიან ინტერტექსტუალურ სივრცეს. მათი შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ახლებურად დავინახოთ ტფილისური ბოჰემის სოციალური კონტექსტი და ის შემოქმედებითი ენერჯია, რამაც განსაზღვრა მე – 20 საუკუნის დასაწყისის თბილისის, როგორც მულტიკულტურული ცენტრის, უნიკალური სახე.

The present paper explores the cultural phenomenon of „Tiflis Bohemia” in the 18 – 20 -th centuries through the works of two pivotal figures: the painter Niko Phirosmanashvili/ Phirosmani and the scholar Ioseb Grishashvili. The central focus of the research is Phirosmanashvili`s renowned diptych, „The Beauties of Ortachala” which is examined not merely as a piece of art but as a socio – aesthetic code of the era.

Ioseb Grishashvili was the first researcher to document the life, language and creative dynamics of the city`s lower social strata with academic precision. His seminal work, „The Literary Bohemia of Old Tiflis”, provides the verbal framework within which Phirosmanashvili`s characters come to life. The paper analyzes the process of mythologizing socially marginalized figures through the images of the „Beauties” in the diptych. Phirosmanashvili portrays them with monumental serenity, using the contrast of white garments against a black background to lend a sacred quality to a mundane subject. The symbolism of birds and flowers highlights the aestheticization of bohemian life, resonating with Grishashvili`s interpretation of urban bohemia as a distinctive and diverse cultural entity.

Special attention is given to the interpretation of „cultural space”. The gardens of Ortachala , as sites of bohemian gatherings, represent a kind of heterotopia where traditional Eastern lifestyles intersected with new, European-style urban entertainment. Phirosmanashvili`s visual narrative in the diptych and Grishashvili`s literary chronicles create a complementary picture, capturing a transitional period of shifting urban identity.

In conclusion, Phirosmanashvili`s „The Beauties of Ortachala” and Grishashvili`s texts form a unified intertextual space. Their comparative analysis allows for a fresh understanding of the social context of Tiflis bohemia and the creative energy that defined the unique character of early 20 – th century Tbilisi as a multicultural hub. This synergy between the visual and the verbal provides a profound insight into the diverse identities and historical dynamics of the city.



დანახთი: 1

„ოხთაჭადის გუხფები“ დიფტიქი, მუშაობა, ზეთი.

Appendix: 1

„Beauties of Ortachala“, diptych, oil on oilcloth.

ელინა ქრისტესიაშვილი, ლეილა ქრისტესიაშვილი,
მირანდა ბორცვაძე

Elina Kristesiashvili, Leila Kristesiashvili,
Miranda Bortsvadze

ქალაქური ბოჰემა და ურბანული იდენტობა
იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებით სივრცეში
Urban Bohemia and Urban Identity in
the Creative Space of Ioseb Grishashvili

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

საკვანძო სიტყვები: *ტფილისი, ბოჰემა, ურბანული იდენტობა, კულტურა, ენა*
Keywords: *Tbilisi, Bohemia, Urban Identity, Culture, Language*

მოხსენება მიზნად ისახავს ტფილისის ბოჰემური კულტურული სივრცის ანალიზს და ქალაქის იდენტობის ფორმირების სიღრმისეულ გააზრებას იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების საფუძველზე. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძველი ტფილისის სოციალურ და კულტურულ გარემოს, რომელიც ლიტერატურულ ტექსტებში წარმოჩენილია როგორც მრავალშრიანი და დინამიკური ურბანული სივრცე. ქალაქი განხილულია როგორც კულტურული ტექსტი, სადაც იკვეთება ისტორიული გამოცდილება, სოციალური ურთიერთობები და ესთეტიკური აღქმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენას, როგორც კულტურული მეხსიერებისა და იდენტობის მატარებელს. გრიშაშვილის ტექსტებში ენა ასახავს ქალაქის კოლორიტს, ბოჰემურ ატმოსფეროს და ადამიანთა ურთიერთობებს. ასევე განხილულია შემოქმედებითი დინამიკა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის აღქმასა და ინტერპრეტაციას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

მოხსენებაში წარმოჩენილია, რომ ტფილისი წარმოადგენს ცოცხალ კულტურულ ორგანიზმს, სადაც თანა არსებობს ტრადიცია და მოდერნი ხოლო ბოჰემური გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქის იდენტობის ფორმირებაში

The present study aims to analyze the bohemian cultural space of Tbilisi and to explore the formation of urban identity based on the works of Ioseb Grishashvili. The paper focuses on the socio-cultural environment of old Tbilisi, which is represented in literary texts as a multilayered and dynamic urban space shaped by historical, social, and cultural processes. The city is examined as a cultural text where historical experience, social relations, and aesthetic perception intersect.

Special emphasis is placed on language as a medium of cultural memory and identity construction. In Grishashvili's works, language reflects the urban atmosphere, social relations, and everyday life of the city. The study also addresses the creative dynamics that influence the perception and interpretation of the city across different historical periods.

The research concludes that Tbilisi functions as a living cultural organism where tradition and modernity coexist, and where the bohemian environment plays a significant role in shaping its distinctive identity.

ნარი ჩხაბერიძე

Nari Chkhaberidze

იოსებ გრიშაშვილის თბილისური
ბოჰემის კულტურულ-რელიგიური ესთეტიკა
The Religious-Cultural Aesthetics of Tbilisi Bohemia by Ioseb Grishashvili

საქართველოს ბიზანტინოლოგთა ეროვნული კომიტეტი
Georgian National Committee of Byzantinologists

საკვანძო სიტყვები: თბილისი, იოსებ გრიშაშვილი, ბოჰემა, ესთეტიკა
Keywords: Tbilisi, Ioseb Grishashvili, Bohemia, aesthetics

წარმოდგენილი საკონფერენციო მოხსენება ეხება იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში ასახული, თბილისური ბოჰემის რელიგიურ-კულტურულ ესთეტიკას. ამ თვალსაზრისით, ვაანალიზებთ მის პოეტურ და პროზაულ შემოქმედებაში გამოხატულ მრავალშრიან ფენომენს. განსაკუთრებით, ავტორის მიერ გამოცემულ, დიდი სამეცნიერო-კვლევითი ისტორიული მნიშვნელობის მონოგრაფიულ ნარკვევს – “ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა”. კვლევაში მიზნად ვისახავთ წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ერთიანდება ყოველდღიური ქალაქური ყოფა და საკრალური სიმბოლიკა ერთიან ესთეტიკურ სისტემაში; ვცდილობთ გამოიკვეთოს, თუ როგორ გვაჩვენებს ავტორი თავის ტექსტებში, თბილისის სულიერ-ესთეტიკურ სივრცედ გარდაქმნილ, ქალაქის ბოჰემურ ცხოვრებას.

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ურბანული კულტურისა და რელიგიური გამოცდილების ურთიერთმიმართება კვლავ მნიშვნელოვან საკვლევ სფეროს წარმოადგენს. გრიშაშვილის თბილისის გვთავაზობს უნიკალურ მოდელს, სადაც ბოჰემური ცხოვრება და ქალაქის სულიერი ტრადიცია ურთიერთდაპირისპირებული კი არა, გარკვეულწილად ურთიერთშემავსებელი კატეგორიებია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კულტურული იდენტობის კვლევისათვის.

კვლევაში წამოჭრილი პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მაშინ როცა ტრადიციულად ბოჰემა აღიქმება სეკულარული ბუნების ცხოვრებისეულ სივრცედ, გრიშაშვილის ტექსტები აჩვენებს მის შინაგან კავშირს საკრალურ გამოცდილებასთან. გრიშაშვილის პოეზიაში თბილისური ბოჰემა წარმოდგენილია, როგორც მრავალშრიანი კულტურული ფენომენი, სადაც ღვინო, სუფრა, მუსიკა და ქალაქური ყოფა არ უპირისპირდება რელიგიურ განცდებს, არამედ მათთან განსჯის დიალოგში იმყოფება. ეკლესიის, ზარისა და ლოცვის მოტივები ქმნის ქალაქის სულიერ ფონს, რომელიც ყოველდღიურობას საკრალურ განზომილებას ჰმატებს. ამდენად, გრიშაშვილისეული თბილისის ბოჰემური ცხოვრება არ არის რაღაც ჰედონისტური პრაქტიკა, არამედ შეიცავს სულიერი ძიებისა და შინაგანი გაორების ნიშნებს.

კვლევის მეთოდი ეფუძნება ტექსტოლოგიურ და ჰერმენევტიკულ ანალიზს; გამოყენებულია შედარებითი მეთოდიც; დამატებით გამოიყენება თეოლოგიური ესთეტიკის პრინციპების ანალიზიც, რომელიც წარმოდგენილია იოსებ გრიშაშვილის ზემოხსენებული მონოგრაფიის შინაარსში. მასში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ძველი თბილისის ადათ-წესები, რელიგიური ყოფა-ცხოვრება თუ ტრადიციები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გრიშაშვილის თბილისური ბოჰემის მიხედვით, ამ ქალაქში რელიგიური მრავალფეროვნებით თანაცხოვრება ქმნის განსაკუთრებულ კულტურულ ესთეტიკას. ეს მოდელი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლიტერატურული ანალიზისთვის, არამედ კულტურის კვლევის, თეოლოგიური ჰერმენევტიკისა და ურბანული იდენტობის შესწავლის სფეროებისთვის.

This paper examines the religious-cultural aesthetics of Tbilisi bohemia as represented in the works of Ioseb Grishashvili. It analyzes this multi-layered phenomenon across both his poetic and prose writings, with particular emphasis on his monograph, "The Literary Bohemia of Old Tbilisi", a work of considerable scholarly and historical significance. The study aims to demonstrate how everyday urban life and sacred symbolism are integrated into a coherent aesthetic system, and how the author constructs the bohemian life of the city as a distinctly spiritual-aesthetic space.

The topic is particularly relevant within contemporary humanities, where the relationship between urban culture and religious experience continues to constitute a significant field of inquiry. Grishashvili's Tbilisi offers a distinctive model in which bohemian life and the city's spiritual traditions are not mutually exclusive but function as complementary dimensions. This perspective is especially important for the study of Georgian cultural identity.

The central problem addressed in this study lies in the tension between the conventional understanding of bohemia as a predominantly secular sphere of life and its representation in Grishashvili's texts as inherently connected to sacred experience. In his poetry, Tbilisi bohemia emerges as a complex cultural formation in which wine, feasting, music, and urban sociability do not stand in opposition to religious sensibility but exist in a dynamic, dialogical relationship with it. Motifs such as the church, the ringing of bells, and prayer establish a spiritual background that imbues everyday life with a sacred dimension. Consequently, Grishashvili's portrayal of bohemian life transcends mere hedonism and reveals elements of spiritual quest and inner tension.

Methodologically, the study is grounded in textological and hermeneutic analysis, complemented by a comparative approach and informed by the principles of theological aesthetics. Particular attention is devoted to the aforementioned monograph, which documents the customs, religious life, and cultural practices of Old Tbilisi in the second half of the nineteenth century and the early twentieth century.

The findings suggest that, in Grishashvili's representation, the coexistence of religious diversity within Tbilisi gives rise to a distinctive cultural aesthetic. This model is significant not only for literary analysis but also for broader fields such as cultural studies, theological hermeneutics, and the study of urban identity.

ნიკო ჯავახიშვილი

Niko Javakhishvili

ტოპონიმ თბილისის ისტორიიდან

For the history of toponym "Tbilisi"

ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

Foreign member of Latvian Academy of Sciences

საკვანძო სიტყვები: *თბილისი, ტფილისი, სულხან-საბა ორბელიანი, მეფე ერეკლე II*

Keywords: *Tbilisi, Tiflis, Sulkhani-Saba Orbeliani, King Ertekle II*

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში საქართველოს სატახტო ქალაქი – თბილისი – ძირითადად სახელდებულია როგორც – “ტფილისი”.

გამოკვლევაში დასმულია კითხვა, თუ როდის ეწოდა “ტფილისი” – “თბილისი”. შემდეგ კი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის დამონშებული XX-XXI საუკუნეებში გამოცემულ ქართულ ენციკლოპედიებში მოყვანილი განმარტებები, სადაც აღნიშნულია, თბილისს 1936 წლამდე ეწოდებოდა – “ტფილისი”.

ამ განმარტებების გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, რომ 1936 წლამდე საქართველოს დედაქალაქის აღსანიშნავად გამოიყენებოდა მხოლოდ – “ტფილისი”, ხოლო ამის შემდეგ კი მის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი – “თბილისი”.

სტატიაში დამონშებულია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნულ არქივში მიკვლეული საისტორიო დოკუმენტი, დათარიღებული XVIII საუკუნის მიწურულით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გადაისინჯოს ზემოხსენებული განმარტებანი. ეს არის ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1720-1798) მიერ აზნაურ თუშმალიშვილებისადმი 1795 წლის 1 მაისს ბოძებული წყალობის სიგელი.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ტერმინები “ტფილისი” და “თბილისი” წარმოადგენდა ექვივალენტურ და პარალელურ ტერმინებს ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. კერძოდ, ცნობილი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) თხზულებაში “ქართული ლექსიკონი” ტერმინი “ტფილისი” განმარტებულია როგორც – “თბილისი”.

ზემოხსენებულ ლექსიკონსა და წყალობის სიგელში დაცული ინფორმაციის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ტოპონიმი “თბილისი” ჯერ კიდევ

XVIII საუკუნეში იხსენიებოდა, როგორც “ტფილისის” ექვივალენტური და პარალელური ტერმინი.

In old Georgian written sources, the capital city of Georgia – Tbilisi (“თბილისი”), is most commonly referred to as – “Tphilisi” / “ტფილისი” / “Tiflis”.

The study raises the question of when “Tphilisi” / “ტფილისი” / “Tiflis” was called – “Tbilisi”. Then, in chronological order, examples from Georgian encyclopedias published in the XX-XXI centuries are cited, which indicate that “Tbilisi” was called “Tphilisi” / “ტფილისი” / “Tiflis” until 1936.

When reviewing these explanations, it gives the impression that until 1936 the capital of Georgia was referred to only as “Tphilisi” / “ტფილისი” / “Tiflis”. After that, the term “Tbilisi” became established instead.

The article verifies a historical document cited by the author in the National Archive of Georgia, dated at the end of the XVIII century, which makes it possible to review the reported events. This is a letter of gratitude granted by King Erekle II (1720-1798) of Kartli-Kakheti (Kartalino-Kakhetia) to the Georgian noble Tushmalishvili family on May 1, 1795.

The study notes that the terms “Tphilisi” and “Tbilisi” were presented as equivalent and parallel terms as early as the first quarter of the 18th century. Specifically, in the works of the famous Georgian scholar and statesman Sulkhani-Saba Orbeliani (1658-1725), in „Georgian Lexicon“, the term “Tphilisi” is defined as – “Tbilisi”.

Based on the above-mentioned dictionary and information from sources, the author concludes that the toponym “Tbilisi” was already mentioned in the XVIII century as an equivalent and parallel term to “Tphilisi”.

მაია ჯალიაშვილი

Maia Jaliashvili

**ევროპა თბილისის უბნებში: ბოჰემა და ურბანული
ტრანსფორმაცია იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში**
**Europe in Tbilisi Neighborhoods: Bohemia and
Urban Transformation in Ioseb Grishashvili's Poetry**

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: *იოსებ გრიშაშვილი, თბილისური ბოჰემა, ურბანული
პალიმპსესტი, კულტურული ტრანსფორმაცია*

Keywords: *Ioseb Grishashvili, Tbilisi Bohemia, Urban Palimpsest, Cultural
Transformation*

თბილისი თავისი მრავალფეროვანი და დრამატული ისტორიით იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების მთავარი მუზა და შთამაგონებელია. მის პოეზიაში წარმოჩნდება თბილისური ბოჰემის მხატვრული ანატომია. მოხსენებაში ვაანალიზებთ იოსებ გრიშაშვილის პოეტურ მემკვიდრეობას, როგორც XIX-XX საუკუნეების თბილისის კულტურული და სოციალური ტრანსფორმაციის უნიკალურ მემკვიდრეობას, გამოვკვეთთ ქალაქური ბოჰემის მხატვრული რეპრეზენტაციის სხვადასხვა ასპექტს და პოეტის „აღმოსავლური თემისა“ და „სწავლული ევროპის“ მაღალმხატვრულ, ორგანულ სინთეზს.

მოხსენებაში პოეტის ლექსების მიხედვით ვაანალიზებულა ქალაქური პალიმპსესტური სივრცეების პოეტიკა – შეითანბარარი, სირაჩხანა და აშპაშხანა. სწორედ ამ სივრცეებში ევროპული ფორმა ორიგინალურად ერწყმის აშუღურ ტრადიციასა და კოლორიტული „ფოლორცის“ თავისებურებებს. „შეითანბარში“ პოეტი ტრიოლეტის მკაცრ, განმეორებით სტრუქტურას იყენებს არა მხოლოდ ფორმალური ოსტატობის საჩვენებლად, არამედ ქალაქის ციკლური, ლაბირინთული სივრცის გამოსახატავად. აქ „გაღმა-გამოდმა“ სიარული თავად ბოჰემური არსებობის მეტაფორად იქცევა. „აშპაშხანისკენ“ კი ქეიფისა და ნადიმის სცენებს წარმოაჩენს, როგორც სოციალური შეხვედრის ადგილს. სამუხაროდ, ძველი თბილისური ბოჰემური სულისკვეთება – ყარაჩოხელის ვაჟკაცობა, ღვინის კულტი და ძმობის ეთიკა უკვე გაქრობის პირასაა, რაც იწვევს პოეტის ნოსტალგიასა და სენტიმენტალურ განწყობილებებს.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძველ თბილისთან გამოთხოვების შთამბეჭდავ დრამატულ სურათებს, როდესაც „დედუკის ნაცვლად ქარხნის საყვირი“ გაისმის, ხოლო რკინის ინდუსტრიული ხმა ძალადობრივად ახშობს ტრადიციულ, მშობლიურ, ნაცნობ მუსიკალურ ჰანგებს. პოეტი ზუსტად გადმოსცემს იმ ეგზისტენციალურ კრიზისს, რომელსაც გა-

ნიცდიდა ეპოქათა მიჯნაზე. იგი ქალაქის ცვლილებას ვერ ეგუება და არ აღიარებს, მაგრამ ვერც სრულად უარყოფს.

გრიშაშვილის ლექსებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენისა და ფორმის პოლიტიკა. პოეტი ერთდროულად ეყრდნობა ქართულ კლასიკურ ტრადიციას, სპარსულ-თურქულ პოეტიკასა და ევროპულ ლიტერატურულ მოდელებს და ამ სამ შრეს თამამად იყენებს. სწორედ ამ ენობრივ-ფორმალური მრავალფეროვნებაში ვლინდება მისი გამორჩეულობა. ამ ლექსებში კარგად წარმოჩნდება ქალაქის მულტიკულტურული ბუნება: თბილისი, გრიშაშვილის თვალთახედვით, არ ეკუთვნის ერთ ენას, ერთ ტრადიციას ან ერთ ეპოქას – მასში ორგანულადაა წარმოდგენილი ყველა და ყველაფერი, რასთანაც ურთიერთობა ჰქონია. ამ გაგებით, მისი ლექსები ერთგავრი ბოჰემური მანიფესტებია: საზღვრების გადამლახველი, ჟანრების შემრევი, კულტურული იერარქიების უარყოფელი.

მოხსენებაში წარმოჩენილია, რომ გრიშაშვილის შემოქმედებითი თავისებურება ეფუძნება წარსულის ნოსტალგიისა და მოდერნისტული მსოფლმხედველობის დაპირისპირებას. ავტორი გვევლინება ქალაქის კულტურული მეხსიერების ერთგულ დამცველად, რომელიც ცდილობს, რომ „ევროპა გარდაქმნას თბილისის უბნებად“ და ამ გზით შეინარჩუნოს ქალაქის მრავალფეროვანი, მულტიკულტურული სახე.

Tbilisi's multifaceted and dramatic history serves as the primary muse for Ioseb Grishashvili's oeuvre, providing a profound artistic anatomy of the city's bohemia. This exploration situates the poet as a pivotal figure bridging the gap between the waning Middle Eastern aesthetic and emerging Western modernist trends. The paper analyzes Grishashvili's poetic legacy as a unique chronicle of cultural and social transformations in 19th and 20th-century Tbilisi, highlighting the organic synthesis between "Eastern themes" and "Learned Europe."

The study examines the poetics of urban palimpsestic spaces—Sheitan-Bazar, Sirachkhana, and Ashpashkhana. Within these locales, European forms merge with Ashughi traditions and the vibrant "folortsi" atmosphere. In Sheitan-Bazar, Grishashvili employs the rigid structure of the triolet to mirror the city's cyclical, labyrinthine geography, where wandering serves as a metaphor for bohemian existence. Through this intricate mapping, the poet captures the transition where traditional bazaar intimacy meets the anonymity of the developing metropolis. While *Towards Ashpashkhana* frames feasting as a social ritual, the poet simultaneously laments the vanishing Karachogheli spirit – chivalry and the wine cult – evoking profound nostalgia.

Crucially, the paper explores the dramatic "farewell to Old Tbilisi", where factory whistles replace the traditional duduk. This industrial intrusion symbolizes an existential crisis; the poet remains caught between an irreconcilable past and an unavoidable future. Furthermore, Grishashvili's "politics of form" integrates Georgian classics, Perso-Turkic poetics, and European models. This linguistic pluralism underscores Tbilisi's multicultural essence, presenting the city as a space

transcending single languages or eras.

Ultimately, Grishashvili's verses function as bohemian manifestos: they defy boundaries and dismantle cultural hierarchies. His work remains essential for understanding how Tbilisi's identity was negotiated during radical social realignment. By attempting to "transform Europe into Tbilisi's neighborhoods", Grishashvili acts as a guardian of cultural memory, striving to sustain the city's multifaceted identity amidst modernization.

მარია ჯიქია

Marika Jikia

აზერბაიჯანული წარმომავლობის ლექსიკა
იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“
Vocabulary of Azerbaijani origin in the "Urban Dictionary" of
Ioseb Grishashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: *იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“, აზერბაიჯანული წარმომავლობის ლექსიკა*

Keywords: *Ioseb Grishashvili, "Urban Dictionary", Vocabulary of Azerbaijani origin*

მუსლიმურ სამყაროსთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხან მტრულ, ხან მეგობრულ ურთიერთობათა შედეგად ქართულ ყოფაში აღმოსავლური ელემენტები შემოიჭრა. ორიენტალიზმების დამკვიდრებას, ნებისთ თუ უნებ-ლიეთ, თბილისის ფაქტორიც დიდად უწყობდა ხელს: აქ მოსახლე სომხების, სპარსელებისა თუ აზერბაიჯანელების წეს-ჩვეულებები და ფოლკლორული ტრადიციები ზეპირი გზით ვრცელ-დებოდა. თბილისელები უპირატესად ტრილინგვები იყვნენ. დედაქალაქურ მეტყვე-ლებაში აღმოსავლური ლექსიკის დამყარებას ჰქონდა სოციალური სარჩული და ქვეყნის ისტორიულ-პო-ლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული.

სახალხო პოეტს, იოსებ გრიშაშვილს, დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის ისტო-რიის, კულტურისა და ყოფის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ უნიკალურია მისი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. ამავდროულად პოეტი ესათუთებოდა მშობლიური ქალაქის მცხოვრებთა მეტყველებას და კრებდა ლექსემებს ლიტერატურიდან. დაუნჯებული ერთეულები „ქალაქური ლექსიკონის“ სახელწოდებით პოეტის გარდაცვალებიდან 32 წლის შემდეგ სა-არქივო მასალაზე დაყრდნობით ფილოლოგიის დოქტორმა რუსუდან კუსრა-შვილმა 1997 წელს გამოაქვეყნა. ლექსიკონში უხვად არის წარმოდგენილი სპარსულ-არაბულ-აზერბაიჯანული ლექსიკური ერთეულები.

ირანისტმა ნომადი ბართაიამ ვრცელი გამოკვლევა უძღვნა „ქალაქურ ლექსიკონს“. მან გამოავლინა 489 ორიენტალიზმი, მათ შორის 309 სპარსული, 165 არაბული და 15 თურქული წარმომავლობის ლექსიკური ერთეული. აქვეა აღსანიშნავი, რომ არაბული სიტყვები სპარსული და აზერბაიჯანული ლექსიკური ფონდის ორგანულ ნაწილად იყო ქცეული.

ქართულში დამკვიდრებულ თურქული წარმომავლობის სიტყვებს არაე-რთი ქართველი თურქოლოგი იკვლევდა და იკვლევს, თუმცა თურქიზმების

შემცველობის კუთხით „ქალაქური ლექსიკონი“ არავის განუხილავს. ამთავითვე უნდა ითქვას წყაროების სახელდების თაობაზე: ‘აზერბაიჯანულის’ ნაცვლად იოსებ გრიშაშვილი იყენებდა „თათრულს“.

ჩაკვლრმავდით ლექსიკონს. ნომადი ბართაიას მიერ დაფიქსირებული აზერბაიჯანული წარმომავლობის ლექსემების გარდა მასში აღმოჩნდა არსებითი და ზედსარ-თავი სახელები, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები, კერძების სახელები, ფრაზები, არა-სრული წინადადებები და სხვა. საერთო ჯამში, ჩვენ შევისწავლეთ აზერბაიჯანული წარმომავლობის 150 ლექსიკური ერთეული.

As a result of long-term, sometimes hostile, sometimes friendly relations with the Muslim world, oriental elements invaded Georgian life. The Tbilisi factor also greatly contributed to the establishment of orientalisms, whether intentionally or unintentionally: the customs and folklore traditions of the Armenians, Persians, or Azerbaijanis living here were spread orally. Tbilisians were predominantly trilingual. The establishment of oriental vocabulary in the Tbilisi speech had a social basis and was caused by the historical and political situation of the country.

The Georgian national poet Ioseb Grishashvili, made a great contribution to the study of the history, culture, and life of Tbilisi. In this regard, his “Literary Bohemia of Old Tbilisi” is unique. At the same time, the poet studied the speech of the inhabitants of his native city and collected lexemes from literature. The enriched units were published in the “Urban Dictionary” 32 years after the poet’s death by Doctor of Philology Rusudan Kusrashvili in 1997, based on archival materials. The dictionary contains a large number of Persian-Arabic-Azerbaijani lexical units. Iranist Nomadi Bartaia devoted extensive research to the “Urban Dictionary”. He identified 489 orientalisms, including 309 Persian, 165 Arabic and 15 lexical units of Azerbaijani origin. It is also worth noting that Arabic words had become an organic part of the Persian and Azerbaijani lexical fund.

Many Georgian Turkologists have studied and are studying words of Turkish origin established in Georgian, although no one has examined the “Urban Dictionary” in terms of the content of Turkisms. It should be said at the outset about the names of the source language: Ioseb Grishashvili used “Tatar” instead of “Azerbaijani”.

We delved into the dictionary. In addition to the lexemes of Azerbaijani origin recorded by Nomadi Bartaia, it also contained nouns and adjectives, names denoting professions, names of dishes, phrases, incomplete sentences and others. In total, we studied 150 lexical items of Azerbaijani origin.



უნივერსიტეტის
გამომცემლობა